მითოსის ხანაში ვაზი ღვთაებრივ მცენარედ, „სიცოცხლის ხედ“ იყო მიჩნეული. მას თაყვანს სცემდნენ წარმართულ ეპოქაში, როცა მზეს თვლიდნენ ღმერთად, მცენარეთაგან მზისთვის ყველაზე ახლობლად ვაზი მიუჩნევიათ, რადგან, უძველესი რწმენით, ვაზი განსაკუთრებულად შეიწოვდა მზის ძალას. მზის ძალა ვაზიდან ღვინოში გადადიოდა და სწორედ ეს ძალა ათრობდა ადამიანს. ქრისტიანობამ ვაზის სიმბოლიკა თავის ესთეტიკას შეუთავსა, „ვენახი“ და „ვაზი“ თავად მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სიმბოლოებად აქცია.

ღვინო კი საქართველოში ოდითგანვე სიცოცხლის უზარმაზარი, ყველაზე მნიშვნელოვანი საწყისი იყო ადამიანისთვის და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ქართველი კაცის გასაოცარი, უპრეცედენტო დამოკიდებულება ღვინისადმი. ეს შეუძლებელია სხვაგვარად ყოფილიყო, რადგან საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა, სწორედ აქ აქცია პირველად ქართველმა წინაპარმა ველური ვაზი კულტურულ მცენარედ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მიწაზე ერთად გაჩნდა ვაზი და ადამიანი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, შემთხვევითი არ არის წმინდა ნინოს ვაზის ჯვრით შემოსვლა საქართველოში, რადგან მას უნდა სცოდნოდა, რომ ქართველები ეთაყვანებოდნენ ვაზს, ცნობდნენ მის ძალას და ამიტომ ვაზის ჯვარს უფრო ირწმუნებდნენ.

## DAVID SARAJISHVILI



David Sarajishvili was born to a family of famous merchants on the 28th of October of 1848 in Tbilisi. The Sarajishvilis were 'first-class citizens' — merchants and landowners who possessed vast estates in the nearby village of Dighomi. In the early XIXth century, their trading house entertained extensive commercial relations with the North Caucasus and with cities in Russia, Ukraine, Iran and Turkey. In the 1840s, the Sarajishvilis ranked among the most powerful merchants; they were, however, not only traders and landowners but also the initiators of many patriotic deeds. David Zakaria Sarajishvili was a worthy upholder of his family's traditions.

He studied in Tbilisi's Classical Gymnasium No.1, and later pursued his studies at the University of St. Petersburg, from which he graduated in 1871 with a Master's degree in

Philosophy and a Doctorate in Chemistry. Between 1872 and 1877, David Sarajishvili studied agriculture at the universities of Hohenheim and Halle in Germany, and in 1878 he travelled to France in order to study viticulture and wine-making.

During his stay in France (1878–1879), David Sarajishvili became interested in the methods of producing cognac; this would become his life's passion. In 1884 he founded the Sarajishvili Cognac Distillery. He also built a liquor distillery that same year. The Sarajishvili Company soon had 5 alcohol rectification, 1 vodka, 1 liquor and 7 cognac distilleries, as well as numerous warehouses in Tbilisi, Moscow and St. Petersburg and in many other cities. David Sarajishvili is thought of as the founder of cognac distillation not only in Georgia, but also in the entire Russian empire.

David Sarajishvili spent vast sums of money on the restoration and reconstruction of many Georgian monuments. He also saved many material and spiritual treasures from destruction or loss by buying them and presenting them to the nation. Ikorta's old cathedral, Kashveti church and Svetitskhoveli are synonymous with his efforts. Following his death on the 20th of June 1911, and in accordance with his will, a great part of his property was given to the state. David Sarajishvili made significant contributions to the creation and establishment of the Historical & Ethnographical and Drama Societies, music schools, the Georgian Society for the Promotion of Literacy and many other national initiatives. He entertained close relationships with Georgian writers and public figures of his day, and also actively took part in the country's cultural life.

Commercial advisor to the Russian emperor, David Sarajishvili will always be remembered as a successful entrepreneur, scientist, public figure, philanthropist, and patriot.

## დავით სარაჯიშვილი

დავით სარაჯიშვილი დაიბადა 1848 წლის 28 ოქტომბერს ქალაქ თბილისში სახელმოხვეჭილი სოვდაგრის ოჯახში. საერთოდ, სარაჯიშვილები თბილისის „პირველხარისხოვანი მოქალაქენი“, სოვდაგრები და მემამულენი იყვნენ, დიდ მამულებს ფლობდნენ სოფელ დიღომში. XIX საუკუნის დასაწყისიდან მათ სავაჭრო სახლს ფართო კომერციული ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის თემებთან, რუსეთთან, უკრაინასთან, ირანისა და თურქეთის ქალაქებთან. 40-იანი წლების თბილისში სარაჯიშვილების სავაჭრო სახლი ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფირმას წარმოადგენს. ამასთან, სარაჯიშვილები მხოლოდ სოვდაგარ-მემამულენი კი არა, მრავალი პატრიოტული საქმის წამომწყებნი იყვნენ. სწორედ ოჯახური ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილიც.

იგი სწავლობდა თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტში, მოგვიანებით კი — გერმანიაში, ჯერ მიუნხენის, შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომელიც 1871 წელს დაამთავრა ქიმიის დოქტორისა და ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხით. 1872–77 წლებში დავით სარაჯიშვილი ჰოენჰაიმისა და ჰალეს უნივერსიტეტებში სოფლის მეურნეობის სპეციალობას ეუფლებოდა, 1878 წელს კი საფრანგეთში გაემგზავრა მევენახეობისა და მეღვინეობის შესასწავლად.

საფრანგეთში ყოფნისას (1878–1879 წწ.) დავით სარაჯიშვილი კონიაკის ტექნოლოგიამ გაიტაცა, რაც მისი ცხოვრების მიზანი გახდა. 1884 წელს თბილისში შეიქმნა სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა. იმავე წელს მისივე ინიციატივით ამუშავდა ლიქიორის ქარხანაც. მალე სარაჯიშვილის ფირმა აერთიანებდა 5 სარექტიფიკაციო, 1 არყის, 1 ლიქიორისა და 7 კონიაკის ქარხანას, ასევე მრავალ საწყობს თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში. დავით სარაჯიშვილი არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის მთელ მაშინდელ იმპერიაში კონიაკის წარმოების ფუძემდებლად ითვლება.

დავით სარაჯიშვილი დიდძალ თანხას ხარჯავდა საქართველოს ძველი ძეგლების აღსადგენად და მათი რეკონსტრუქციისთვის. მას არაერთი მატერიალური და სულიერი კულტურის განძი უხსნია განადგურება-დაკარგვისაგან, შეუძენია და კვლავ საზოგადოების კუთვნილებად უქცევია. მის სახელთანაა დაკავშირებული იკორთის ძველი ტაძარი, ქაშვეთის ეკლესია, სვეტიცხოველი... 1911 წლის 20 ივნისს, სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისივე ანდერძის თანახმად, ქონების უდიდესი ნაწილი საქართველოს საკუთრებად იქცა. დავით სარაჯიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და დრამატურგიული საზოგადოებების, მუსიკალური სასწავლებლის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა ეროვნული წამოწყებების ჩამოყალიბებასა და შექმნაში. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იმ პერიოდის ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან და თვითონაც აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

იმპერატორის კომერციის მრჩეველი დავით სარაჯიშვილი ისტორიაში შევიდა, როგორც წარმატებული მეწარმე, მეცნიერი, ღირსეული საზოგადო მოღვაწე, დიდი ქველმოქმედი და თავისი ქვეყნის პატრიოტი.

## THE COMPANY

In 1884, David Sarajishvili began to distil cognac in the Russian empire according to the classic method. The first bottle was produced in a distillery in Tbilisi in 1887.

The Sarajishvili Company developed rapidly, and its activities spread across the Russian empire and Europe. Distilleries, warehouses and distribution networks were established in Tbilisi, Moscow, St. Petersburg, Yerevan, Kiev, Warsaw, Baku, Riga, Kharkov, Vladikavkaz, Odessa, Theodosia, Samara, Chisinau, Petrovsk and Chargou. The distribution network sold the Company's production: cognac, vodka, wine, liquor, rum, absinth and other alcoholic beverages. Sarajishvili's cognac was marketed as 'natural cognac from the Caucasus', and its label was embellished with a picture of a Caucasian mountain ram standing on a rock — a symbol which has been retained down to the present day.

Between 1889 and 1912, Sarajishvili cognac won gold medals at international trade fairs in Paris, Chicago and Brussels as well as in many other cities.

In 1913, in recognition of its long-standing supply of high-quality Georgian cognac to Russia, the Sarajishvili Company was officially recognized as 'Purveyor to the Russian Imperial Court'.

David Sarajishvili invited scientists working in many different fields of cognac manufacture to join his company. Under his guidance, the soils of different regions were thoroughly studied, special wine-growing estates were delimited, and the best varieties of grape were selected in order to ensure the high quality and aroma of available wines. Together, they developed and refined methods for preparing and blending cognac and for determining the quality of spirits. Sarajishvili production became a laboratory. Based upon years of research, the best varieties of Georgian oak trees were selected for the preparation of barrels for storing and maturing spirits. It is a well-known fact that grape spirit kept in a barrel made of oak acquires not only an outstanding taste but also medicinal properties.

Over the years, the Sarajishvili Company has withstood many dangers — war, destruction, bans and prohibition — but despite these the company has never ceased to develop and expand.

The construction of a new factory in Tbilisi gathering together all the company's different stocks — which had until then been located in different cities — was completed in 1954.

During the Soviet period, the 'David Sarajishvili Company' became the 'Tbilisi Cognac Factory', which in turn became a private company in 1995. Thanks to the initiative of its new owner, the company recovered the older 'Sarajishvili' name. The joint-stock company 'Sarajishvili' was established upon the foundation provided by the Tbilisi Cognac Factory, and is the leading producer of cognac in Georgia. 'Sarajishvili' products have won 24 grand prizes and 133 gold, 36 silver and

## კომპანია

1884 წელს დავით სარაჯიშვილმა საფუძველი ჩაუყარა კონიაკის კლასიკური ტექნოლოგიით წარმოებას რუსეთის იმპერიაში. პირველი პროდუქტი 1887 წელს თბილისში დაარსებულმა ქარხანამ გამოუშვა.

სარაჯიშვილის კომპანია სწრაფად გაიზარდა და გაფართოვდა რუსეთის იმპერიისა და ევროპის მასშტაბით. თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, ერევანში, კიევში, ვარშავაში, ბაქოში, რიგაში, ხარკოვში, ვლადიკავკაზში, ოდესაში, ფეოდოსიაში, სამარაში, კიშინიოვში, პეტროვსკსა და ჩარგოუში განლაგდა სპირტსახდელები, სასაწყობო მეურნეობები და სარეალიზაციო ქსელი, სადაც იყიდებოდა დავით სარაჯიშვილის კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია: კონიაკი, არაყი, ღვინო, ლიქიორი, რომი, აბსენტი და სხვა სპირტიანი სასმელები. სარაჯიშვილის კონიაკი ბაზარზე ცნობილი იყო „კავკასიის ნატურალური კონიაკის“ სახელწოდებით, რომლის ეტიკეტს კლდეზე შემდგარი ჯიხვის ემბლემა ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს.

1889–1912 წლებში სარაჯიშვილის კონიაკმა საერთაშორისო გამოფენებზე პარიზში, ჩიკაგოში, ბრიუსელსა და სხვა ქალაქებში ოქროს მედლები მოიპოვა.

1913 წელს კომპანიას რუსეთისთვის მაღალხარისხიანი ქართული კონიაკის მრავალწლიანი სტაბილური მიწოდებისთვის იმპერატორის კარის მიმწოდებლის სტატუსი მიენიჭა.

დავით სარაჯიშვილმა თავის ფირმაში მიიწვია კონიაკის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა დარგის მეცნიერი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით იქნა შესწავლილი საქართველოს სხვადასხვა რაიონის ნიადაგები, განისაზღვრა საგანგებო მიკროზონები, შეირჩა საუკეთესო ჯიშები, რომლებიც მაღალხარისხიან, არომატულ ღვინომასალას იძლევიან. ამ თვალსაზრისით, სარაჯიშვილის საწარმო ერთგვარ ლაბორატორიად იქცა. მრავალწლიანი კვლევის შედეგად გადაირჩა ქართული მუხის საუკეთესო სახეობები, რომელთაგან საკონიაკე სპირტის შესანახი და დასაძველებელი კასრები მზადდება. როგორც ამბობენ, მუხის კასრში ყურძნის სპირტი არა მარტო არაჩვეულებრივ გემოს, არამედ სამკურნალო თვისებებსაც იძენს.

სარაჯიშვილის კომპანიამ წლების მანძილზე მრავალ განსაცდელს გაუძლო: ომებსა და დარბევებს, აკრძალვებსა და მშრალ კანონებს. მიუხედავად ამისა, მაინც იზრდებოდა და ვითარდებოდა.

1954 წელს თბილისში დასრულდა ახალი საწარმოს მშენებლობა, სადაც კომპანიის კუთვნილ, სხვადასხვა ქალაქში დაცულ მარაგებს მოუყარეს თავი.

საბჭოურ ხანაში დავით სარაჯიშვილის კომპანიის მემკვიდრე გახდა თბილისის კონიაკის ქარხანა, რომელიც 1995 წელს კერძო საკუთრებაში გადავიდა. ახალი მფლობელის ინიციატივით მას დაუბრუნდა სარაჯიშვილის სახელი. თბილისის კონიაკის ქარხნის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“, რომელიც დღემდე კონიაკის წარმოების ლიდერია საქართველოში. საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებზე სს „სარაჯიშვილის“ ღვინის ბრენდებს 24 გრანპრი, 134 ოქროს, 36 ვერცხლისა და 14 ბრინჯაოს მედალი აქვთ მოპოვებული. კომპანია შესულია მსოფლიოს იმ საუკეთესო საწარმოთა რიცხვში, რომელთა პროდუქციაც უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა. სარაჯიშვილის სპირტსაცავებში ძველდება უნიკალური ქართული ღვინის სპირტები, რომლებიც





11 bronze medals during international shows and competitions. The company is ranked among the world's best enterprises, and its production is of the highest quality. Unique Georgian wines of different ages and geographic origins mature in the company's spirit reserves. The oldest of these was distilled in 1893 under the supervision of David Sarajishvili himself from wines produced in the village of Dighomi. This rich stock of spirits confers upon the company's production its uniqueness.

The joint-stock company 'Sarajishvili' has retained the cultural values established by David Sarajishvili down to the present day. The use of centuries-old methods and modern technology, the preservation of stocks of old and diverse spirits and the professionalism of its employees enables the 'Sarajishvili House' to manufacture products of the highest quality and to remain the leader in its field.

## TECHNOLOGY

If the history of vines and wine in Georgia is thousands of years old, Georgian wine brandy, on the other hand, was born comparably later in the XIX$^{th}$ century.

Thanks to its content, origins, nobility and originality, this divine drink is different from other strong beverages and is considered an elite and valuable product. It begins life in a vineyard, matures in oak barrels, and develops and finally ends in a bottle; this process takes a minimum of three years, and can last centuries.

It is a harmony in which taste and aesthetics merge beautifully. Wine brandy — an amber-coloured and highly-alcoholic drink with a complex aroma and a light, velvety flavour — is the result of the double distillation of white wine and an ageing process in oak barrels. Spirit is refined in oak barrels, where it acquires delicacy, colour and flavour. Making wine brandy is an art in which the soil, climate, grape variety, technological methods and refined taste all play their part.

## PRODUCTION

The concept of the 'Sarajishvili House' is based upon a combination of tradition and innovation, which on one hand means loyalty to the principles and methods introduced by David Sarajishvili, and on the other hand a striving towards innovation. Collectible masterpieces created more than a century ago still live and still surprise connoisseurs and specialists with their special aroma and taste. A melody still 'sings' in each of them — melody which reveals to us how refinement can be combined with beauty and tenderness with delicacy.

Wine brandy is not an average liquid or drink. Every single make distinguishes itself by sharp individual features — age, origin, appearance, character, inner qualities...

ერთმანეთისგან როგორც ასაკით, ისე გეოგრაფიული ადგილწარმოშობით განსხვავდება. მათ შორის ყველაზე ძველი 1893 წელს სოფელ დიღმის ღვინომასალებიდან თავად დავით სარაჯიშვილის უშუალო ხელმძღვანელობითაა გამოხდილი. სწორედ სპირტების ეს მდიდარი ბაზა ქმნის კომპანიაში წარმოებული პროდუქციის უნიკალურობას.

სს „სარაჯიშვილი" დღემდე ინარჩუნებს დავით სარაჯიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ კულტურას. საუკუნოვანი ტრადიციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, უძველესი, მრავალფეროვანი სპირტების რეზერვების არსებობა და ტექნოლოგთა პროფესიონალიზმი საშუალებას აძლევს „სარაჯიშვილის სახლს" უმაღლესი ხარისხის პროდუქცია აწარმოოს და ლიდერად დარჩეს.

## ტექნოლოგია

თუ ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია ათასწლეულებს ითვლის, ქართული ღვინის ბრენდი შედარებით გვიან, მე-19 საუკუნეში, დაიბადა.

თავისი შინაარსით, წარმომავლობით, კეთილშობილებითა და ორიგინალობით ეს ღვთაებრივი სასმელი მკვეთრად განსხვავდება სხვა მაგარი სასმელებისგან და ელიტარულ და ძვირფას პროდუქტად ითვლება. მისი წარმოშობა ვენახიდან იწყება, მუხის კასრში ყალიბდება, ვითარდება და ბოთლში მთავრდება, რაც დროის მინიმუმ სამ წელიწადს, ხოლო მაქსიმუმ — საუკუნეებს მოიცავს.

ეს ჰარმონიაა, რომელშიც ერთმანეთს მოხდენილად ერწყმის გემოვნება და ესთეტიკა. ღვინის ბრენდი — მაღალალკოჰოლიანი ქარვისფერი სასმელი რთული არომატითა და მსუბუქი, ხავერდოვანი გემოთი — მიიღება თეთრი ღვინის ორჯერადი გამოხდისა და მუხის კასრებში დაძველების შედეგად. მუხის კასრში სპირტი იხვეწება, იძენს სინაზეს, ფერსა და არომატს. ღვინის ბრენდის დამზადება ხელოვნებაა და მის შექმნაში მონაწილეობს ნიადაგი, კლიმატი, ყურძნის ჯიში, ტექნოლოგიური გამოცდილება და დახვეწილი გემოვნება.

## პროდუქცია

„სარაჯიშვილის სახლის" კონცეფცია ტრადიციულისა და ნოვატორულის შერწყმას ეფუძნება, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, დავით სარაჯიშვილის მიერ დანერგილი ტექნოლოგიებისა თუ პრინციპებისადმი ერთგულებას, მეორე მხრივ, სიახლისკენ გამუდმებულ სწრაფვას. საუკუნეზე მეტი ხნის წინ შექმნილი საკოლექციო შედევრები დღემდე ცოცხლობს და განსაკუთრებული არომატითა თუ გემოვნური თვისებებით განცვიფრებაში მოჰყავს ღვინის ბრენდის გურმანები და სპეციალისტები. თითოეულ მათგანში „ჟღერს" მელოდია, რომელიც გვაგრძნობინებს, თუ როგორ ეხამება დახვეწილობა მშვენიერებას, სინაზე — ხავერდოვნებას.

ღვინის ბრენდი მხოლოდ ჩვეულებრივი სითხე ან სასმელი როდია. თითოეულ კონკრეტულ მარკას მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა გამოარჩევს — ასაკი, წარმომავლობა, გარეგნული იერი, ხასიათი, შინაგანი თვისებები...

სოფ. ნატახტარი, მცხეთის რაიონი, საქართველო.
Village Natakhtari, Mtskheta Region, Georgia
Tel: +995 577 18 33 11
nikoloz.khundzakishvili@ge.anadoluefes.com
www.natakhtari.com

ნატახტარი
NATAKHTARI

## EFES BREWERY IN GEORGIA — ONE OF THE SUCCESSFUL INTERNATIONAL INVESTMENTS IN THE COUNTRY

It is with no surprise that Efes Brewery in Georgia — „Natakhtari" Brewery is a market leader in Georgia with more than 55% of market share. In fact, Efes Brewery in Georgia is one of the successful international investments in the Country as is a subsidiary of Anadolu Efes — a beverage division of Anadolu Group, one of Turkey's leading conglomerates. Anadolu Efes is listed on the Istanbul Stock Exchange and its 24% equity belongs to the London Stock Exchange listed multinational Brewing and Beverage Company — SABMiller




Anadolu Efes is the only company from the Region to be listed on the Dow Jones Sustainability Indexes (DJSI) as brewer of the world class quality; this applies to all its subsidiaries, including the Georgian operation.

Along with the world class quality beer production, „Natakhtari" Brewery practices a maximum integrity and transparency in doing business. We are proud to be one of largest tax payer in the Country, contributing to the State budget more than USD 120 Million since 2008.

Company's top priority is to follow highest standards in food safety, as well as to protect safety, health and welfare of employees, therefore „Natakhtari" Brewery is certified with all available ISOs those make our production so distinctive and unique. Those internationally recognized standards we possess are: ISO 9001 (Quality Management Systems); ISO 22000 (Food Safety Management Systems); ISO 17025 (General Requirements for Laboratory Competence and Calibration); HACCP (Hazard Analysis and Critical Control Points); ISO 50001 (Energy Management Systems) and most importantly OHSAS 18001 (Occupational Health and Safety Management Systems).

At present over 50 types of SKU's of beer and soft drinks are being produced by the company. In addition to offering different products to our customers, we care for quality improvement on a day-to-day basis. We make our products with the best technologies, best quality control mechanisms, best natural ingredients and unique water in the region. Having market share of more than 65% domestically, we export our product in more than 20 countries worldwide, therefore we are among the biggest exporters in our industry.

In Efes Georgia, we employ directly and through our affiliate distribution companies almost 900 personnel. As one of our core value is care on personnel, we have developed and implemented effective career development system; we offer fair benefit and bonus opportunities to all our employees. We constantly invest in personnel development, finance internships, send our employees to various training and retraining courses and what is the most important we have the system where each of them are direct participant of decision making process.

As a market leader, we distinguish ourselves as being a champion in social responsibility and transparency; therefore we do realize our high social responsibility. Environment, sports, education and science and rising consumers' awareness on alcohol's responsible consumption are exactly those spheres Efes Georgia supports and develops.




## „ეფეს საქართველო“, ლუდსახარში კომპანია – ერთ-ერთი წარმატებული საერთაშორისო ინვესტიცია ქვეყანაში

არ არის გასაკვირი, რომ „ეფეს საქართველო“ – ლუდსახარში „ნატახტარი“ ბაზრის ლიდერია საქართველოში – ფლობს 55%-ზე მეტ საბაზრო წილს. ფაქტობრივად, „ეფეს“ ლუდსახარში საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საერთაშორისო ინვესტიციას წარმოადგენს, რადგან იგი „ანადოლუ ეფესის“, თურქეთის წამყვანი კონგლომერატის „ანადოლუ ჯგუფის“ სასმელების მრეწველობის ფილიალია. „ანადოლუ ეფესი“ სტამბულის საფონდო ბირჟაზეა დარეგისტრირებული და მისი კაპიტალის 24% ეკუთვნის ლონდონის საფონდო ბირჟას, რომელშიც დარეგისტრირებულია საერთაშორისო ლუდსახარში და სასმელების მწარმოებელი კომპანია „საბმილერი“.

„ანადოლუ ეფესი“ ერთადერთი კომპანიაა რეგიონიდან, რომელიც შეტანილია დოუ ჯონსის მდგრადობის ინდექსში, როგორც მსოფლიო დონის ლუდსახარში. ეს ეხება ყველა მის ფილიალს, მათ შორის საქართველოში მოქმედ ფილიალებსაც.

მსოფლიო სტანდარტის ხარისხის ლუდის წარმოებასთან ერთად, ლუდსახარში „ნატახტარი“ გამოირჩევა უმწიკვლო რეპუტაციითა და მაქსიმალური გამჭვირვალობით ბიზნესში. ჩვენ ვამაყობთ, რომ წარმოვადგენთ ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ გადამხდელებს ქვეყანაში, და ჩვენი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში 2008 წლიდან მოყოლებული 120 მილიონ აშშ დოლარზე მეტია.

კომპანიის მთავარი პრიორიტეტია დაიცვას საკვების უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტები, აგრეთვე თანამშრომელთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. ამდენად, ლუდსახარშ „ნატახტარს“ გააჩნია ყველა არსებული ISO სერტიფიკატი, რაც ჩვენს პროდუქციას ასე გამორჩეულსა და უნიკალურს ხდის. საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტებიდან ჩვენ ვფლობთ ISO 9001 (ხარისხის მართვის სისტემა); ISO 22000 (საკვების მართვის სისტემა); ISO 17025 (ლაბორატორიის კომპეტენციისა და კალიბრაციის ზოგადი მოთხოვნები); HACCP (საფრთხის ***ანალიზი*** და კრიტიკული საკონტროლო წერტილები); ISO 50001 (ენერგეტიკული მართვის სისტემა) და რაც მთავარია, OHSAS 18001 (ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა).

ამჟამად კომპანიას გააჩნია ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების 50-ზე მეტი სახეობის მარაგის შენახვის ერთეული. მომხმარებლისთვის სხვადასხვა პროდუქტის შეთავაზებასთან ერთად, ჩვენ ყოველდღიურად ვზრუნავთ ხარისხის გაუმჯობესებაზე. ჩვენ ვაწარმოებთ პროდუქციას საუკეთესო ტექნოლოგიების, ხარისხის კონტროლის მექანიზმების, საუკეთესო ბუნებრივი ინგრედიენტებისა და რეგიონში უნიკალური წყლის გამოყენებით. ჩვენი შიდა ბაზრის წილი 65%-ს შეადგენს, ხოლო ექსპორტს ვაწარმოებთ მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში. ამდენად, ჩვენ ყველაზე მსხვილი ექსპორტიორები ვართ მრეწველობის ამ დარგში.

უშუალოდ „ეფეს ჯორჯიაში“ და მის ფილიალებში დასაქმებულია თითქმის 900 თანამშრომელი. კომპანიის ძირითად ღირებულებას წარმოადგენს პერსონალზე ზრუნვა და ის აყალიბებს და ახორციელებს პროფესიული განვითარების ეფექტურ სისტემას. ყველა თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს დამსახურებული შეღავათები და ბონუსები. მუდმივად ხდება ინვესტირება თანამშრომელთა განვითარებაში, ფინანსდება სტაჟირებები, ანამშრომლები იგზავნებიან სხვადასხვა მოსამზადებელ და გადასამზადებელ კურსებზე და რაც მთავარია, თითოეული მათგანი უშუალოდ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

როგორც ბაზრის ლიდერი, კომპანია გამოირჩევა სოციალური პასუხისმგებლობითა და გამჭვირვალობით. გარემო, სპორტი, განათლება, მეცნიერება და მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება ალკოჰოლური სასმელების მოხმარების კულტურაში, ეს სწორედ ის სფეროებია, რომელსაც „ეფეს ჯორჯია“ განუხრელად უჭერს მხარს და ავითარებს.

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის N80
N80 David Agmashenebeli avenue
Fax: +995 32 2 22 3668
E-mail: ids@borjomi.com
www.borjomi.com




IDS BORJOMI
GEORGIA

DS Borjomi Georgia is a part of IDS Borjomi International – the one of the largest producer of natural mineral water, a leader in the category of natural bottled water in the CIS and Baltic countries.

IDS Borjom International has an extensive experience in the production and excretion of the market brands of natural mineral waters. The company offers customers of different ages and income levels the natural, unique, high quality, pure mineral water and soft drinks, giving health and wellbeing every day.

IDS Borjomi International — is an international company, which has offices in six countries and exports its products to 40 countries worldwide. Today the company combines Georgian IDS Borjomi Georgia, Ukrainian IDS Group Ukraine, Russian IDS Borjomi Russia, as well as representative offices: IDS Borjomi Europe (Vilnius, Lithuania) and IDS Borjomi Azerbaijan (Baku, Azerbaijan); Belarus IDS Borjomi Bel (Minsk, Belarus).

IDS Borjomi Georgia is an unchallenged market leader in Georgia's bottled water industry, which has already established its best known brand names like Borjomi, Llkani, Mitarbi, Borjomi Springs and Bakuriani. Its biggest selling brand Borjomi has established its presence in over 30 countries worldwide.

IDS Borjomi Georgia brings to the market the natural and wholesome drinking water, which gives a drive and a boost of energy.

The company builds its operations on following main principles: protection and development of mineral water sources; maintaining a strong competitive position by introducing innovations in production; market diversification; aggressive marketing campaigns on strategic markets; widening up company's brand portfolio; the growth of the export potential of the country by introducing new brands of mineral water.

IDS Borjomi Georgia staff amounts 700 employees. For each and every one of us the company's portfolio of popular water brands is the greatest national treasure rather than gainful marketable product, which have stood the test of tie and seen worldwide as a powerful symbol of Georgian identity. Borjomi Company, which has emerged as a Georgian market leader is geared towards becoming the world's undisputable leader as well.

As producers we are keeping abreast of the latest developments on the market and are always oriented towards responding effectively to customer needs.

We are centered on creating an environment that benefits both our staff and customers and best suits their needs. Efforts thus concentrated contribute to the realization of new ideas and facilitate further development. Product quality is always our top priority. And our goal is to live up to, maintain and boost customer confidence.

კომპანია IDS ბორჯომი საქართველო საერთაშორისო კომპანიის, ნატურალური მინერალური წყლების უმსხვილესი მწარმოებლის, დსთ – სა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ნატურალური მინერალური წყლების კატეგორიის ლიდერის – IDS Borjomi International –ის შემადგენლობაში შედის.

IDS Borjomi International –ს აქვს დიდი გამოცდილება აწარმოოს და ბაზარზე გამოიტანოს ნატურალური მინერალური წყლის ბრენდები. კომპანია სთავაზობს სხვადასხვა ასაკისა და შემოსავლის მქონე ადამიანს მაღალი ხარისხის უნიკალურ, ნატურალურ მინერალურ წყალს, რომელიც ანიჭებს მომხმარებელს სიჯანსაღესა და სიმსუბუქეს.

კომპანია IDS Borjomi International–ს საკუთარი ოფისები მსოფლიოს ექვს ქვეყანაში აქვს: IDS Borjomi Georgia (თბილისი, საქართველო), IDS Borjomi Ukraine (კიევი, უკრაინა), IDS Borjomi Russia (მოსკოვი, რუსეთი), IDS Borjomi Europe (ვილნიუსი, ლიტვა), IDS Borjomi Bel (მინსკი, ბელორუსია), IDS Borjomi Azerbaijan (ბაქო, აზერბაიჯანი).

საერთაშორისო კომპანიის ბრენდების პორტფელში შედის ქართული, რუსული და უკრაინული წყლების ყველაზე ცნობილი ბრენდები.

ქართული კომპანია IDS ბორჯომი საქართველო ჩვენი ქვეყნის ბაზრის უპირობო ლიდერია. გარდა სახელგანთქმული ბრენდისა „ბორჯომი“ კომპანია აწარმოებს მინერალური წყლების ისეთ ბრენდებს, როგორიცაა: „ბაკურიანი“, „ლიკანი“, „მიტარბი“, „ბორჯომის წყაროები“. 1995 წლიდან დღევანდელ დღემდე განხორციელებული სწორი მენეჯმენტისა და კარგად დაგეგმილი მარკეტინგული აქტივობის შედეგად „ბორჯომმა“ ძველი სახელი და დიდება დაიბრუნა. ქართული მინერალური წყალი დსთ – სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მასშტაბით უპირობო ლიდერია იმპორტირებული მინერალური წყლის სეგმენტში. ბევრ ქვეყანაში „ბორჯომი“ მინერალური წყლის ადგილობრივ ბრენდებსაც კი უწევს ღირსეულ კონკურენციას.

კომპანიის ბიზნეს სტატეგია შემდეგ პრინციპებს ეფუძნება: მინერალური წყლის რესურსების დაცვა და განვითარება; წარმოების პროცესში ინოვაციების დანერგვით კონკურენტული უპირატესობის მოპოვება; ბაზრების დივერსიფიკაცია; აგრესიული მარკეტინგული კამპანიების წარმოება სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე; კომპანიის ბრენდების პორტფელის გაზრდა; ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა მინერალური წყლების ახალი ბრენდების გამოტანით ბაზარზე.

კომპანიაში დღესდღეობით 700 ადამიანი მუშაობს. თითოეული ჩენთაგანისათვის კომპანიის პორტფელში შემავალი მინერალური წყლის ბრენდები არა მხოლოდ ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქტებია, არამედ ქვეყნის ნამდვილი ეროვნული საგანძური, რომელმაც გაუძლო დროს და მსოფლიომ საქართველოს იდენტურობის სიმბოლოდ აღიარა. ასევე, სრულად ვაცნობიერებ, რომ ჩვენს ხელთ არის ქართული ბაზრის ლიდერი ბრენდი „ბორჯომი“, რომელსაც გააჩნია იმის პოტენციალი, რომ ნებისმიერ საექსპორტო ბაზარზე უპირობო ლიდერად იქცეს.

ჩვენ, როგორც მწარმოებლები აქტიურად ვადევნებთ თვალს ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს, ახალ ტენდენციებს და ვცდილობთ ვიმოქმედოთ და განვითარდეთ ჩვენი მომხარებლისგან წამოსული მოთხოვნების შესაბამისად. კომპანია რაციონალურად მოიხმარს ბუნებრივ რესურსებს. ვქმნით თანაბრად კომფორტულ გარემოს როგორც საკუთარი თანამშრომლებისთვის, ისე მომხმარებლებისთვის. ამ სტრატეგიით მუშაობა კი ახალი იდეების რეალიზაციისა და შემდგომი განვითარების საწინდარი ხდება. ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი პროდუქციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებაა.



# THE BEGINNING OF IRON METALLURGY IN GEORGIA



Dr. Davit Kuparadze
Tbilisi State University

*In the almost 4000 years long history of Georgia metallurgy has always played an important role. Its specifics, development, ups and downs and new reincarnations in other times and places, over and over again are the main story in this paper. Southern Georgian metallurgical centres are considered the birth place of the iron metallurgy of the world and have played leading role on the markets of the then known world during the whole Antiquity. In the Middle Ages, however, Georgian metallurgy is forced to hide in the Northern mountains to keep away from aggressive intruders and suffers from restricted ore base and isolation. The last flash of the Georgian iron metallurgy is seen in the South Eastern territory in XIX century. The present day Georgian metallurgy is entirely based on import*

*Georgian history dates back for several millennia, having its roots in the second half of the III mill. BC. Ancient Georgian tribe Tubal (Tuval) is mentioned in the Bible as founder of the metallurgy and blacksmith art. Ancient Georgian metallic artefacts are found spread across the entire Middle East – Mesopotamia, Syria and the Anatolian Kingdoms.*

*The historic subdivision of the Middle Bronze Age in Western Georgia relies on evidence from the compositions of the produced metals. In the beginning the main product was the As copper, replaced in turn by As-Sb copper and Sn-Cu alloys. Thus, the Georgian antique iron metallurgy did not appear in an empty environment, but represented a logical continuation of the pre-antique metallurgy. A specific proof for the technological succession is the fact that regardless of the technical difficulties connected to the new material, ancient craftsmen kept trying to reproduce in iron the same shapes that they used to produce from bronze. This phenomenon is supported by abundant archaeological findings in Samtavro, Gebi, Sukhumi Mountain, Svaneti, Lower Kartly etc.*





*Records for the high level of iron metallurgy and black smith crafts of the ancient South-Western Georgian tribes are available in written sources, while recent archaeological findings witness similar levels of technology for Kartly and Western Georgia.*

*The ancient centres of metal production were distributed mainly in the South-Western, South-Eastern and Northern Georgian provinces. The first one was situated in the Chorokhi River catchment, within the ancient Shavsheti, Djavakheti and Tao-Klardjeti, as well as on the territory of present day Guria. The South-Eastern province covered the Southern areas of Ancient Iberia, with the especially important from metallurgical point of view Bolnisi and Alaverdi (present Armenia) districts. The Northern province covered the mountainous parts of the Great Caucasus, at the areas of Abkhasia, Svaneti, Imereti and Racha (Fig. 1).*

*Centres of metallurgical production of the Southern zone (Lower Caucasus Mountainous area) played leading role during the entire Antiquity. This is a whole historical stage in the development of Georgian metallurgy, lasting until the Middle Ages. During this period the metallurgical importance of the Northern zone is insignificant, except the Svaneti gold bearing region, well known for its gold production since ancient times but having some experience in iron melting, too. This experience becomes the seed of the technological growth of the Northern zone in the beginning of the Middle Ages, when the Southern zone lost its importance. Finally, in XVIII and XIX c. metallurgical production centres moved to the South again, but this time in the South-Eastern part of the country Borchalo (Bolnisi)—Alaverdi regions.*

*It should be emphasized that metallurgy has always been an important component of the Georgian economy since the very distant past. Under different historical circumstances it has been temporarily depressed or displaced, but kept reviving over and over again. This fact is reflected in numerous written sources back to the most ancient ones.*



*Single finds of metallic artefacts are known in Georgia since the early agricultural settlements VI-IV mill. BC. According to Gzelishvili, the oldest metallurgy on Georgian territory has been located in the Bolnisi region, rich in early agricultural settlements, too. This is confirmed by the remnants of ancient copper ore extraction close to Tsitelisopeli and its vicinity.*
*During the Antique Period the Georgian South used to produce iron, copper and copper alloys, gold and silver. This is*

*registered in Greek and Roman written sources describing the metallurgical skills of the Mossinik, Halib and Tubal proto- Georgian tribes.*

*However, distinct specialization was marked. Mossiniks, who had active trading relations with the Greeks, not only in their close vicinity (Kerasund), but also in the rather distant Trapesund, have been well known by their superb copper, bronze and brass. According to Aristoteles their bronze could be easily recognized by its whitish hue. He notes that „Mossiniks do not use tin in their bronze, but some local earth, which they smelt together with the copper".*

*On the other hand, Xenophontus describes iron axes in the Mossinik armament, but emphasizes that they are produced by the Halibs, who live at the Western most end of their territory (South-Eastern Black Sea coast) and their dominant occupation is iron smelting and fabrication. Still Apollonius of Rhodes (Απολλώνιος Ρόδιος) (200-250 BC) notes that Halibs „...do not grow cereals, neither grow fruits, nor they pasture cattle in their lush meadows but instead, they dig their hard ferrous land and produce iron to trade for everything else. Their only occupation is iron production what they do day after day, from sunrise to late evenings" (Antipenko, 2005). This fact is also confirmed by Xenophontus (Xenophontus, 1994).*

*It is rather obvious, that such narrow specialization of some tribes leads to a remarkable rise of product quality, since it creates a perfect collaborative and targeted social environment. Aristoteles claims that „halib iron is the best one in the world, because Halibs produce it in their own secret way". He calls it „white Halib iron" which, according to its cited features used to be a kind of stainless steel.*



Universe Business Group LLC offers machinery for construction and renovation, repair work service, alternative energy systems (generators, UPS systems, etc.), water supply, firefighting systems, office, warehouse and special bitumen containers, agricultural equipment and spare automobile parts.

Universe Business Group LLC is a multidirectional business society. Since its founding the company has been focused on growth and development and has established partnerships with many businesses in Georgia and abroad.

Within a short time Universe Business Group LLC became a member of the Chamber of Commerce and Industry of Georgia, the EU-Georgia Business Council and the Georgian Employers' Association. The company actively participates in international exhibitions and business forums both in Georgia and abroad.

Working with us is your guarantee of success. What's more, you will be pleasantly surprised by the savings!

ქ. თბილისი 0190, ა. წულუკიძის ქ. №21
21 A. Tsulukidze str., 0190, Tbilisi
Tel:: +995 322457360
+995 577 415560
info@ubg.ge; bpageorgia@gmail.com
www.ubg.ge

შპს „უნივერს ბიზნეს გრუპი" გთავაზობთ ტექნიკას და რემონტისა და მშენებლობისთვის, სარემონტო სამუშაოების სერვისს, ალტერნატიული ენერგომომარაგების სისტემებს (გენერატორი, UPS და ა.შ.), წყალმომარაგებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებს, საოფისე, სასაწყობო და ბიტუმის გადასაზიდ სპეციალურ კონტეინერებს, აგრარულ ხელსაწყოებსა და ავტომანქანის სათადარიგო ნაწილებს.

შპს „უნივერს ბიზნეს გრუპი" მრავალი მიმართულებით მოღვაწე საზოგადოებაა. იგი თავისი დაარსების პირველი დღიდან ორიენტირებულია თვითგანვითარებაზე და ზრდაზე. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ამოქმედებისთანავე დაამყარა პარტნიორული ურთიერთობა მრავალ ორგანიზაციასთან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

შპს „უნივერს ბიზნეს გრუპი" მოკლე დროში გახდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოსა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი. აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენასა და ბიზნესფორუმებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



გაგარინის ქ. 12, 3700 რუსთავი, საქართველო
12 Gagarini Str., 3700 Rustavi, Georgia
Tel: +995 32 260 66 99, +995 32 249 22 33
Fax: +995 32 260 66 99 (3030), +995 32 249 22 33 (3030)
contacts@rustavisteel.ge

Rustavi Metallurgical Plant
est. 1948

## COMPANY OVERVIEW

The Rustavi Metallurgical Plant was established in 1948, and was the only integrated seamless pipe plant in the Soviet Union, with annual output of over 1.5 million tonnes of steel, 700 thousand tons of pig iron and 500 thousand seamless pipes. The plant's main product was large diameter seamless pipe for the oil and gas industry in the Caspian oil region and Middle East markets.

After the breakup of the Soviet Union, the plant's raw material supply lines and end user markets were severely disrupted and the plant ceased operations in 1991 and remained effectively idle for the next 20 years.

In 2011 the plant was acquired by Rustavi Steel LLC, and a new management team is steering a course of major modernization and development of the plant's steel making and steel rolling assets, with a strategic focus on the seamless pipe business. The seamless pipe mill was successfully re-started in 2012 after being idle for almost twenty years due to turmoil and disruption caused by the fall of the Soviet Union.

Rustavi Steel LLC employs 1,550 people, and the plant occupies a territory of 600 hectares with well-developed power and railway infrastructure. The plant is located in the city of Rustavi, 30 km south of the capital city Tbilisi.

## QUALITY CERTIFICATION

The plant is certified according to ISO 9001 standards and has API (American Petroleum Institute) certification, Certification for the European Market, CE (Conformite Europeenne) and TUV NORD certification for the production of seamless pipes. It also has GOST 632, GOST 633 and GOST 8731 certification, for the production of seamless pipes and rebar according to Russian standards, and DSTU 3760:2006 certification, for the production of rebar according to Ukrainian standards.

## PRODUCTS AND SALES GEOGRAPHY

The plant's main products are seamless pipes, reinforcing bars, square billets, and processed slag. Exports account for approximately 70% of sales. At the present stage export of seamless pipes is conducted to European, US and CIS markets. In future company plans to expand its export activities in the markets of Middle East, East Asia, Africa and North and South America. Square Billet is exported in Turkey, Azerbaijan, many countries of Africa and Asia. Re-bar is generally sold in the local market, where it possesses the 25% re-bar market share and also in Azerbaijan and Armenia.

## INVESTMENT PLANS

The company's strategy is to re-establish Rustavi's position in the global seamless pipe market and re-integrate pipe production and steel making. The development plan envisages investment of over USD 500 million, divided into four stages, comprising, in the short to medium term, (i) modernization of the seamless pipe mill, (ii) upgrade of existing steel making assets, and in the longer term, (iii) re-start of the blast furnace complex for production of pig iron initially for export, (iv) investment in new steelmaking capacity using pig iron as a raw material, to produce steel billets for the seamless pipe mill and also for export.



## კომპანიის შესახებ

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ერთ–ერთი ყველაზე მსხვილი მეტალურგიული ქარხანა ამიერკავკასიაში, დაარსდა 1948 წელს. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ქარხანა იყო ერთადერთი უნაკერო მილების მწარმოებელი ინტეგრირებული საწარმო, რომელიც ყოველწლიურად აწარმოებდა 1.5 მილიონ ტონა ფოლადს, 700 ათას ტონა თუჯს და 500 ათას ტონა უნაკერო მილს. ქარხნის ძირითადი დანიშნულება იყო ცხლადნაგლინი უნაკერო მილების წარმოება კასპიის რეგიონისა და ახლო აღმოსავლეთის ბაზრების ნავთობისა და გაზის ინდუსტრიისათვის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქარხნის ნედლეულით მომარაგება შეწყდა და ასევე მიუწვდომელი გახდა გასაღების ბაზრები, რის გამოც 1991 წელს ქარხანა გაჩერდა და შემდეგი 20 წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა.

2011 წლიდან ქარხანა გადავიდა შპს „რუსთავის ფოლადის" მფლობელობაში. ახალი მმართველი გუნდის მიზანია ქარხანაში ფოლადის წარმოების მოდერნიზაცია და განვითარება, რაშიც სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება უნაკერო მილების წარმოების განვითარებას. უნაკერო მილების წარმოება წარმატებით განახლდა 2012 წელს თითქმის 20–წლიანი პაუზის შემდეგ.

შპს „რუსთავის ფოლადში" დღეს დასაქმებულია 1,550 ადამიანი. ქარხანა განლაგებულია 600 ჰექტარ ტერიტორიაზე და აქვს კარგად განვითარებული სარკინიგზო და ენერგო ინფრასტრუქტურა.

## ხარისხის მართვა და სერთიფიცირება

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა სერთიფიცირებულია საერთაშორისო სტანდარტების ISO 9001 და API (American Petrolium Institute) გათვალისწინებით. TUV NORD–მა ქარხანას მიანიჭა ევროპული ბაზრის სერთიფიკატი CE (Conformite Europeenne). კომპანია სერთიფიცირებულია GOST 632, GOST 633 და GOST 8731 უნაკერო მილებისა და არმატურის წარმოების რუსული სტანდარტებითაც და ფლობს DSTU 3760:2006–ს არმატურის წარმოებისთვის უკრაინული სტანდარტებით.

## პროდუქტები და გაყიდვების გეოგრაფია

